

2019 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური
პოლიტიკის მიმოხილვა
შემაჯამებელი პრეზენტაცია



European Bank
for Reconstruction and Development

1. პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა
2. შინაარსი
3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება
4. შემდგომი ნაბიჯები



1. პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა



European Bank
for Reconstruction and Development

1 - გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (ESP)

მიზანი, პრინციპები და
ვალდებულებები

გარემოსდაცვითი და
სოციალური საკითხების
ინტეგრირება პროექტებში

ანგარიშგება და
ანგარიშვალდებულება
საზოგადოების წინაშე



2. შინაარსი



European Bank
for Reconstruction and Development



„გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა“ (ESP), რომელიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა გადაიხედოს, ბოლოს 2014 წელს განახლდა.

დაინტერესებული მხარეების კომენტარები და 2014 წლის ESP-ის განხორციელების დროს მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი საიმედო ჩარჩოს იძლევა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის ან შერბილებისათვის.

ამ კომენტარების საფუძველზე დაგეგმილ ცვლილებებში:

- შენარჩუნებულია არსებული სტრუქტურა და მიდგომა
- ყურადღება გამახვილებულია ენის სიმარტივეზე
- გათვალისწინებულია პრაქტიკული განხორციელების, დაინტერესებული მხარეების კომენტარებისა და პროექტის გასაჩივრების მექანიზმით (PCM) აღრიცხული ფაქტების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები

PR-ების განხორციელებასთან დაკავშირებით უნდა შემუშავდეს დამატებითი მითითებები.

3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება (1/7)



მეტი სიცხადეა შეტანილი სტრუქტურაში და წარმოდგენილია განმარტებები, რაც დოკუმენტებს უფრო მარტივად გასაგებს ხდის

მოცემულია განმარტებები მოთხოვნებისა და მათი მოქმედების სფეროს თაობაზე, ასევე რა შემთხვევებს არ ეხება ისინი

მოცემულია განმარტებები საქმიანობის კომპლექსური შეფასების მასშტაბის თაობაზე

საერთო
ხასიათის
საკითხები

გამკაცრებულია მიწოდების ჯაჭვებთან დაკავშირებული მიდგომა და მოთხოვნები



გამკაცრებულია მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენის, ასევე მათზე არაპროპორციული ზემოქმედების შეფასებისა და შერბილების მიზნით დადგენილი მოთხოვნები

პროექტის სასიცოცხლო ციკლში უფრო მეტადაა გათვალისწინებული გენდერული საკითხები, მათ შორის გამკაცრებულია გენდერული ძალადობის საპასუხოდ დადგენილი მოთხოვნები

3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება (2/7): კონკრეტული ცვლილებები



განმარტებულია „პროექტისა“ და „მასთან დაკავშირებული ობიექტების“ კონცეფციები

შემოღებულია ახალი მიდგომა კაპიტალის ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების კომპლექსური შეფასებისადმი

მოცემულია განმარტებები PR-ების გამოყენების სფეროების თაობაზე, ასევე რისკებზე დაფუძნებული მიდგომა, როცა ქვეყნის კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება ხდება

3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება (3/7): კონკრეტული ცვლილებები



European Bank
for Reconstruction and Development

- ESP უფრო ჰარმონიულია საქმიანობის კომპლექსური შეფასების მასშტაბისა და PR-ების მოქმედების სფეროების კუთხით
- განმარტებულია კლიენტის მოვალეობები და გათვალისწინებულია მესამე მხარესთან დაკავშირებული რისკების მართვა

PR1

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მართვა



- მოცემულია განმარტებები იძულებითი შრომის, გენდერული ძალადობის, მუშახელის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების და მასიურად დათხოვნის თაობაზე დადგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით
- დადგენილია მოთხოვნა წერილობითი შრომითი ხელშეკრულების თაობაზე
- შემოღებულია პროექტების განმახორციელებელთა ვალდებულება უზრუნველყოს მუშახელის ინფორმირება გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლებების თაობაზე

PR2

მუშახელი და შრომის პირობები



3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება (4/7): კონკრეტული ცვლილებები



European Bank
for Reconstruction and Development

- განმარტებულია კონცეფციები, ასახულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება
- კიდევ ერთხელაა გამოკვეთილი ევროკავშირის არსებითი სტანდარტების შესრულებისა და არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების დანერგვის თაობაზე ბანკის მიერ აღებული ვალდებულება

PR3

რესურსეფექტურობა, დაბინძურების თავიდან აცილება და მართვა



- გამკაცრდა მიდგომა მუშახელის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანდაცვის და უშიშროების საკითხებისადმი
- შემოღებულია რისკის მართვის იერარქია
- მოცემულია განმარტებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მიკროორგანიზმების რეზისტენტობიდან, გენდერული ძალადობიდან და უშიშროების საკითხებიდან მომდინარე საფრთხეების თაობაზე

PR4

ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და უშიშროება



3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება (5/7): კონკრეტული ცვლილებები



European Bank
for Reconstruction and Development

- შეიცვალა PR-ის სტრუქტურა მისი მოთხოვნების გამჭვირვალეობისა და შესრულებადობის გაზრდის მიზნით
- უზრუნველყოფილია ბალანსი ფიზიკურ და ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას შორის
- მეტი სიცხადითაა განმარტებული ადამიანის ზოგადი უფლებები, რისთვისაც გამოყენებულია იძულებითი გამოსახლების თავიდან აცილების, სათანადო საცხოვრებელი შენობის უზრუნველყოფის, გენდერული და მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედების შეფასებისა და მართვის მიზნით დადგენილი მოთხოვნები

PR5

მიწის შესყიდვა, არანებაყოფლობითი განსახლება და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა



- შემოღებულია „ეკოსისტემური სერვისების“ კონცეფცია და გამარტივებულია ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები
- მოცემულია განმარტებები ბიომრავალფეროვნების კომპენსაციასთან დაკავშირებით
- სისტემაშია მოყვანილი ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის მოთხოვნები და შემოღებულია მიკროორგანიზმების რეზისტენტობის ცნება

PR6

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა



3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება (6/7): კონკრეტული ცვლილებები



European Bank
for Reconstruction and Development

- “Indigenous Peoples“-ის განმარტება დაახლოებულია სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების განსაზღვრებებთან
- განმარტებულია „ძალდაუტანებელი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის“ (FPIC) კონცეფცია
- მოქმედებაში მოდის FPIC კონცეფცია, როდესაც პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია “Indigenous Peoples“-ის კულტურული მემკვიდრეობაზე

PR7

Indigenous Peoples



- არსებული კონცეფციებისა და პრაქტიკული მიდგომების სისტემაში მოყვანის მიზნით განახლდა „კულტურული მემკვიდრეობის“ განმარტება
- სენსიტიურ კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში დამატებული იქნა კონფიდენციალობის მოთხოვნა

PR8

კულტურული მემკვიდრეობა



3. საკვანძო ცვლილებების შეჯამება (7/7): კონკრეტული ცვლილებები



European Bank
for Reconstruction and Development

- მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების (არანებაყოფლობითი განსახლება, კრიტიკულ ჰაბიტატზე ზემოქმედება, მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედება და სხვა) მატარებელი ქვეპროექტებისათვის ხელახლა იქნა შემოღებული დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა

PR9

ფინანსური შუამავლები




- განმარტებულია „შინაარსიანი კონსულტაციის“ ცნება
- შემოღებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის კუთხით გათვალისწინებული მაპროვოცირებელი მექანიზმების იერარქია

PR10

ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა



4. შემდგომი ნაბიჯები





მადლობა!

გაქვთ შეკითხვები?

ESPReview2019@ebrd.com